


# ნიანა

ISSN 0132-6015



№ 11

085060

1986

ნახ. მ. აბაშიძისა



ქარკოვესკაუტრულ-მეარტაულ-მომხვეჩალურ-სამგლავურ-გამომალვალური სეკვა „ღორუმი“ მახარაქის რაიონის გორობომქედთა ჯგუფის შესრულაბით.



**გინახავთ** ქუჩაში მოსიარულე ანგელოზი? რა თქმა უნდა, არა, რადგან ისინი იშვიათად თუ ვინმეს ენახებოდა.

აი, თელავის რაიონის სოფლებში კი ნახეს და თანაც არაერთხელ. ჰოდა, დადიოდნენ ანგელოზები ქუჩა-ქუჩა და არიგებდნენ მოწყალებას.

— გაქნებათ ვინახი, თანაც ისეთი, რომელიც თავისით იხსვლება, იყვლება, ირწყვება, იწამლება და იკრიფება კიდეც, მერე უჩინარი მანქანით მიადგება ღვინის ქარხანას, გამოიწერს საშეს და ჩააბარებს ყურძენს პატრონის... თქვენს სახელზე, თქვენ კი მხოლოდ იმაზე უნდა გაისარჯოთ, რომ თანხის გასწვრივ მოაწეროთ ხელი!..

ასეთი სამოთხე-ვენახი ადამისა და ევას შემდეგ აღარავის ჰქონია და, აბა, ვინ არ მოისურვებდა დაკარგულ სამოთხეში დაბრუნებას?!

ამიტომ ანგელოზების წყალობაზე უარი არავის უთქვამს, სიამოვნებით მოაწერეს ხელი ფულის მისაღებ ქვითრებზე **წ. თათილაშვილმა, თ. გომურაშვილმა, ი. ფერიაშვილმა, გ. გომიაშვილმა, ს. შიტიჩაშვილმა, შ. გიორგანაშვილმა, შ. ლუარსაბოვამ** და სხვებმა.

ანგელოზებმა მათი თანამემამულეების სახე მიიღეს და გამოეცხადნენ მათ, როგორც რუისპირის კოლმეურნეობის შემნახველი სალაროს მოლარე-კონტროლიორი **თ. თავაუარი, მოლარე თ. კედელაშვილი; სოფელ ვანთის კოლმეურნეობის მოლარე-მონაგარიშე ნ. ნაპირელი; სოფელ შალაურის სახერგე საბჭოთა მეურნეობის მოლარე-მონაგარიშე ე. ჯოსარაძე; ქვემო სოფლის საბჭოთა მეურნეობის მოლარე-მონაგარიშე ნ. ასანაშვილი; ბუშეტის კოლმეურნეობის მოლარე-მონაგარიშე ს. გიორგანაშვილი.**

მაგრამ სულ მალე გაირკვა, რომ ანგელოზების მიერ სოფელ-სოფელ ჩამორიგებული წყალობა ქარის მოტანილი იყო და ისევ ქარმა წაიღო.

— თქვენ გამოვინიღი ვენახებიც გეყოფათ, რადგან მიწიერი ადამიანები ხართ და მიწას უფრო აფასებთ, გამოწერილი თანხები კი ღმერთებს უნდა წავუღოთ! — გამოუცხადეს ანგელოზებმა პირში ჩალაგამოვლებულ, ბოდიში, ქვითარგამოვლებულ 67 კაცსა თუ ქალს. „ღმერთები“ კი, თურმე ნუ იტყვიან, მოუთმენლად ელოდნენ ამ თანხებს, ესენი კი დარგობრივი ღმერთები იყვნენ — ღვინის ღმერთები!

რუისპირისა და ვანთის კოლმეურნეობებიდან მოფრენილმა ანგელოზებმა თავიანთ დარგობრივ ღმერთს კობა ჯიმის ძე გოგებაშვილს 45.379 მანეთი გადასცეს, რაც მან დაუყოვნებლივ და უკლებლივ ჩააბარა ღვინის ქალღმერთ ნანული მისხვილის ასულ ღარჩაშვილს.

აქ საჭიროა ასეთი განმარტება: როგორც კოლეგის მიერ გამოტანილ განაჩენშია აღნიშნული, ნანული ღარჩაშვილმა კობა გოგე-



# ქ უ რ ე ზ ი ანგელოზები ღ ა ღ ი ა ნ ! !

## ფელატონი

ბაშვილი დაარწმუნა, რომ საჭირო იყო ყურძნის ჩაბარების ქვითრების გამოწერა რაიონის სოფლების მოსახლეობაზე სხვა პირთა ნაცვლად და ამ გზით ჩაბარებული ყურძენი ჩათვლებოდათ გვემის შესრულებაში. ასე ჩათრიეს ვაი-ანგელოზებმა თავიანთ შავ-ბნელ საქმიანობაში ამ სამუშაოზე ახლად-მიღებული, წინანდელ სამუშაოზე კი მართლაც ანგელოზივით მომუშავე კობა გოგებაშვილი. ამას ისიც მოწმობს, რომ როცა თ. სვიმონიშვილისაგან „შესანახ-გადასაცემად“ მიიღო 14 ათასი მანეთი, კ. გოგებაშვილი თავისი ფხვით გამოცხადდა გამოძიებაში აღიარებით და აღნიშნული თანხა მთლიანად ჩააბარა. ამისთან, პროცესზე გულწრფელად განმარტა, რომ ქარხნიდან არავითარი სპირტი არ მიუთვისებია და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სპირტი არ შეუტანია ქარხანაში არც დამოუკიდებლად, არც სხვებთან ერთად.

ახლა ისევ მივყვით ანგელოზების კვალს: შალაურიდან, კურდღელაურიდან, წინანდლიდან მოფრენილმა ანგელოზებმა კი იმავე დარგის ღმერთს ტარიელ ღვინიას ძე კორკოტაშვილს ფრთების ფრიალთან ერთად 47.753 მანეთი აუფრიალეს!..



სოფელ ბუშეტის კოლმეურნეობიდან და წინანდლის საბჭოთა მეურნეობიდან იმავე დარგის, კისკი იგი ღვინის ქალღმერთ ნანული მისხვილის ასულ ღარჩაშვილს ანგელოზებმა საღერღილი აუშაღეს — 11.239 მანეთი გაუშინაღეს!..

რანგისა და ჩინის მიხედვით მერთვით ნობათები დანარჩენ დარგობრივ ღმერთებსაც. მათ ქვემო სოფლიდან, წინანდლის საბჭოთა მეურნეობიდან, ბუშეტის კოლმეურნეობიდან თითების ნერწყვით დასველებით მიითვალეს 22.151 მანეთი.

გარდა ამისა, „ღმერთებმა“ გაშინეს ცალკე თავიანთთვის მოგონილი ვენახებიდან 47.841 კოლოგრაში ყურძნის მოწყვა-ჩაბარება და 28.532 მანეთის მიღება.

ბოლოს შეყარნა ბულალტერიამ ყველა ეს თანხა და საანგარიშოს კოჭებმა ტკაცუნითა და სალუტით აღნიშნეს მართლაც რომ ღმერთებისთვის საკადრისი თანხა — 169.312 მანეთი. სხვა სახის სიყალბეებიც რომ ჩაიდინეს, დამნაშავეებმა მთლიანად 609.744 მანეთი დაიტაცეს!..

სულ ბოლოს კი მართლმსაჯულებამ შეპყარნა ერთად ყველა „ღმერთი“ მოყმე, მსცოვანი და მანდილოსანი: თელიანის ღვინის ქარხნის წარმოების უფროსი ნანული მისხვილის ასული დარჩაშვილი, ამავე ქარხნის მეღვინეები; თენგიზ არტემის ძე სვიმონიშვილი, ავთანდილ ოთარის ძე ჩაჩხიანი, კობა ჯიმის ძე გოგებაშვილი, ტარიელ ღვინიას ძე კორკოტაშვილი, ქარხნის დაცვის უფროსი ავთანდილ ვრმანეს ძე მეგუთნიშვილი და წინანდლის რკინიგზის სადგურის უფროსი აკაკი სიკოს ძე ნინოშვილი და დასხა ისინი საბრალდებო სკამებზე. სწორედ ამის შემდეგ გამოფხიზლდა ყველა, ატყდა შიშისაობა და ძახილი: „ფუი ეშმაკს!“ „ფუი ეშმაკს!“ „გააქრე და გააწყაღე ავი ანგელოზი!“ მაგრამ უკვე გვიან იყო!..

თელავის ძაფსაღები ფაბრიკის კლუბში სამ თვეს მიმდინარეობდა თელიანის ღვინის ქარხნის ყოფილ ხელმძღვანელთა სასამართლო პროცესი. სასამართლო გამოძიებას წარმართავდა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია (თავმჯდომარე — უმაღლესი სასამართლოს წევრი ი. გოგილაშვილი). ახლა უკვე მართლმსაჯულებას ეჭირა რკინის ხელში საანგარიშო და ტკაცანტკაცანით ჰყრიდა სულ სხვა სათვლავ ერთეულებს: ნ. დარჩაშვილსა და ტ. კორკოტაშვილს 15-15 წელი, ა. ჩაჩხიანს — 13 წელი, თ. სვიმონიშვილს და კ. გოგებაშვილს 12-12, ა. ნინოშვილს — 10 წელი. დამნაშავეებს სოლიდარულად დაეკისრათ 609.744 მანეთის გადახდა „საქღვინმრეწვის“ სასარგებლოდ.

დაიხ, ასეთი წელისმოწყვეტი სასჯელები დაედო ყველას, თანაც ქონების კონფისკაციით. მხოლოდ ა. მეგუთნიშვილს მიეხაჯა სამი წლით სავალდებულო შრომაში ჩაბმა.

აი, ამაზე იტყვიან, ქათამმა ღკინო დაღია და ღმერთს შეხვდაო!





**„ლარიშვა“ პირველი**

ქართველი ხარ, და სტუმარი რომ გეწვევა კარგად იცი  
 იცი, როგორ შეეგებო — გვარზე ხომ ხტის მუდამ კვიცი?!  
 რა თქმა უნდა, ვერ შეშბედავ, — ვერც ლიმონათს, ვერცა  
 ხარჩოსს —

მწვადით უნდა დაანაურო, ღვინით უნდა ამოახრჩოს..  
 არ გამოგჩრჩეს სადღეგრძელო, არ უმტუნო „აღათ-წესებს“,  
 ხათრით დაღვეს!.. ზეორე დღეს, გაიხარე, — დაიკვნესებს!..  
 ვახტანგურიც გაიხსენე, მოუხშირე მწვადებს ცვრიანს!  
 სხვანაირად არ იქნება! — უღალატებ ტრადიციას!

**„ლარიშვა“ მესამე**

რესტორანში თუ სადილობ, მოგიკითხავს ვინმე ალბათ:  
 ორი ბოთლი „შამპანური“ დაგიმშვენებს „მცირე ტაბლას“!..  
 კარგად ვიცი, არ გეშლება, გაუგზავნე ბოთლი ოთხი!  
 დიახ, დიახ, შურიანებს ამ გაგზავნით თვალებს მოთხრი!  
 სადილობა გარდიქცევა ღრეობად და ჭიქის სეტყვად!..  
 აბა, როგორ?! — საქართველოს ვერცხლის ქაშრად

შემოვერტყათ!  
 სმაში ვაქოთ ერთმანეთი, სიფხილღეში ცულით ვჩინოთ,  
 რომელ ხეზეც ავალთ, ხერხით სწორედ იმ ხისძირი  
 ვხერხოთ!

ანაცვალე სახლი, კარი ღვინოსა და მწვადებს ცვრიანს! —  
 დიახ, ახე, ახე უნდა! „ახეთი გვაქვს ტრადიციაც!“

**„ლარიშვა“ მეორე**

თუ სუფრაზე თავმოწონეს ქართველობის ეშნი გადაღვს, —  
 საქართველოს სადღეგრძელოს მიაშველებ ჭაზს და არღანს!..  
 გაიხსენებ დავითს, თამარს, სააკაძეს, დიდგორს, შამქორს!..  
 დიდებული წინაპრები დიდი უაწით უნდა ვაქოთ!  
 ისე დავფრეთ, ისე დავფრეთ, რომ ერთმანეთს ველარ  
 ვცნობდეთ,

გამვლელი და გამომვლელი ჩვენს სიფათებს „შენატროდეს“!  
 დანახარჯის გადახდაზე ატუდეს ჩხუბი, კბილთა ღრჭენა!..  
 ერთმა უნდა მოახერხოს ამ ღროს „თავის გამოჩენა“!

იმ თავიდან ამ თავამდე მემთვრალენი ძალებს ცდიან!..  
 დახლართული გზებით მოდის დასაგამობი ტრადიცია!

**დავით მურმანიშვილი**



ნახ. ზ. ჯანტურიასი

— რატომ მატყუებ წონაში? არ გეშინია, რომ შეგჭამო?  
 — მერე შენ ლომს მოერევი?

**საქართველო  
 ცხოვრება**

**მალაზიის** გამყიდველმა იმპორტული ჯემპრების პარტია  
 მოგების შანსებით გადადო ხელსაყრილ პოზიციაში.

**პერა** და ვერ მიეჩვია მოჭადრაკე წყნარი სვლების გაკეთებას,  
 რადგან... ავტობუსების პარკის გვერდით ცხოვრობდა.

**პოზიცია** საყაიმო იყო, მაგრამ ისე მიმზიდველი, რომ  
 მეტოქეები უცბად ვერ შეიღიენ და სამჯერ გაიმეორეს.

**გავრი** იფიქრა და... უარესი პოზიცია უკეთესი დროისათ-  
 ვის გადადო.

**მოჭადრაკე** ქალი პოზიციის გამოსწორებას ველარ ახერ-  
 ხებდა, სამაგიეროდ თმის ვარცხნილობას ისწორებდა ხშირ-ხშირად.

**ე. თამაზაშვილი**



ნახ. ზ. ლეიშვილისა

**უსიტყვოდ**





— გაღაღიხართ აქედან?!  
— აბა, რა ვქნათ, ჭერი თავზე ექცევათ და სად მყავს მე მაგათი დასახოცი ცოლ-შვილი?!



უსიტყვოდ

**უსაზღვრო** გახლავთ ადამიანის ფანტაზია! — უმისოდ წარმოუდგენელიც კია პროგრესული ძვრები, მაგრამ ჭარბ ფანტაზიას და შეუკავცავ ოცნებებს არცთუ იშვიათად კანონსაწინააღმდეგო ქმედებამდეც მიჰყავს ზოგიერთები, მეტწილად ისინი, რომლებსაც მხოლოდ „მე“ და „ჩემი“ ახსოვთ! ამ ნაცვალსახელთა გამოყენების გადაჭარბებულად მოყვარულთ არად მიაჩნიათ სხვათა სიკეთის მიტაცება, სახალხო კუთვნილების მისაკუთრება და უამრავი ისეთი „წვრილმანი“, სინდის-ნამუსის ზღვრებს რომ სცილდება. მათთვის არც ფუყე ამბიციია გახლავთ უცნობი: „იციოთ, მე ვინა ვარ?! იციოთ, ჩემი?!“ — დაგახლიან. ასეთები, როგორც წესი, თავს იქ გრძნობენ ლაღად, სადაც მოდუნებულია საზოგადოებრივი წესრიგის თვალი და მტკიცე მორალისათვის მებრძოლი სულისკვეთება! ისინი ეძებენ და არცთუ უშედეგოდ, საძრომებს მორყეულ ღობეში, ფონს ჭაობებში!..

ჭაობის მოტრფიალეთა საქმიანობაში ბევრ არასასიამოვნო ამბავს შეიტყობ კოლხეთის დაბლობში დასაქმებული ეგვიპტისაგან, კერძოდ კი იმას, თუ როგორ დაუსჯელად პარპაშობენ ისინი მდინარე ფიჩორის ყელში, კაპარჭინას ვიწროებში, ყულევისა თუ ანაკლიის სანახებში!..

ფიჩორში იმდენი თევზი კი არა, ლიფსიტაც არ არის ალბათ, რამდენიც მოტორიანი ნავის მფლობელია — მონკავშირის ბილეთს ამოფარებული ვაი-მეთევზე-მებადური! ადრე დილიდან გვიან საღამომდე ტკარცალებენ აქ სხვადასხვა მარკის და სიმძლავრის მოტორები, დაქრიან ნავ-კატარლები, გრიალებენ თოფები, და ეს მაშინ, როცა ნადირობა აკრძალულია!..

თქვენ წარმოიდგინეთ, ამ შეიარაღებულ, უხეშობას ჭარბად ნაზიარებ „მე“-სთან, ეგერი კი არა, კანონიერების დაცვის მაღალი რანგის წარმომადგენელიც კი უძღვრია. ეს რომ ასეა, აქსიომაა, თუღა ფაქტების მოყვარულთ ვაწინააღმდეგო, რომ ლანჩუთის ნაკრძალის ტერიტორიაზე ეგრეთწოდებულ „სამნადირო სახლებს“ ფლობენ და ამ სახლებ-

### სახლები გყავი და წყალზე, ანუ უყაე აკოხიით!..

#### ფელატონი



ბის აშენებისთვის არავითარი კანონიერი საფუძველი არ მოეპოვებათ თემურ მექაბიშვილს, სასან წუწუნავას, ნაბი ბერიძეს, თედო გულაძაძეს, როლანდ და თენგიზ ტონიებს, გიორგი გურეშიძეს, გივი მოქიას, გური დუმბაძეს!.. უკანონობასთან შეთანხმებული ეს პირები (პიროვნებები, თუ გნებავთ!) პერსონალურად, წერილობით ორ-ორჯერ გააფრთხილა სახალხო დემუკრატთა ლანჩუთის რაიონული საბჭოს აღმასკომმა უნებართვო სახლების აგებისა და მიწათსარგებლობის წესების უხეშად დარღვევისათვის, მაგრამ შედეგი ჯერჯერობით ნულთანია!

რას არ ნახავთ აქ: საველე ვაგონებს (კითომდაც სამეურნეო თვალსაზრისით უფარგისა და ჩამოწერილს!), ბუნკერებს, ფიცრულს თუ რკინის ნაკეთობებს... ორ ათეულზე მეტია ასეთი „ქოხი“ ლანჩუთის რაიონის სოფელ გრიგოლეთთან. მათ მფლობელებს არავითარი საბუთი არ მოეპოვებათ ამ ნაგებობებზე და თუ გააჩნიათ, ერთობ საეჭვოა ასეთი საბუთი, რადგან კაპარჭინასა და მალთაყვის ყელში არავითარი უფლება არ უნდა ჰქონდეთ ბათუმიდან, ქობულეთიდან, ზესტაფონიდან, მახარაძიდან, ჩოსტაურიდან ჩამოსულთ „ქოხების“ ასაშენებლად!..

— ახლა — გარაჟები მოტორიანი ნავებისათვის? კედლებიანი, სახურავიანი სახლები

წყალზე? რა დასამალია და, გაგვაოცა მათმა სიმრავლემ და არქტექტურულმა ნაირსახეობამ. პირველობას ამ საქმეში ყულეველები იჩემებენ და სამართლიანდაც: ვითარცა ძველისძველ ბოლახსა და ნავსაყუდელში, აქ დულს მენავეთა ცხოვრება. თუმცა ანაკლიაშიც არ გახლავან ჩამორჩენილნი! შემდეგ ფიჩორ-კაპარჭინას ნაპირები ვიხილოთ! — მთელი ფლოტი თუ არა, მცირე ფლოტილია მაინც შეიკრიბება. მეტწილად ასეთი სადგომები ჩოსტაურისა და მახარაძის რაიონების საზოგადოებრივ ფერმებთან არის განლაგებული!..

მენავენი დიასაც შემოგიტევენ, ნებართვა თუ მოსთხოვეთ! შემოგიტევენ და ფრიადის დაჯერებითაც (ნავეზე ნომრები აქვთ, ბატონო, სათანადო ინსპექციებიდან გაცემული). კითხვაზე კი, რისთვის სჭირდებათ, ან რა სამეურნეო დანიშნულებით იყენებენ ათეულცხენისძალიანი ძრავებით აღჭურვილ ნავეებსა და კატარლებს, ჯერ არ გიპასუხებენ, თუ პასუხი გაღირსეს, იგი საკმაოდ ბუნდოვანი და დაუსაბუთებელია.

რას იზამ? რაკი პასუხი (მართალი პასუხი) ეჩოთირებათ, არ ჰქონიათ მთლად გამართლად საქმე, ანკი როგორ ექნებათ, როცა დასავლეთ საქართველოს ბაზრებზე, სწორედ ან ნავეების საშუალებით დაჭერილ თევზს და ნანადირევს ჰყიდინ მამასისხლად!.. ისიც კი მოხდა, რომ გასულ წელს ასეთ სწრაფმავალ კატერზე ამხედრებულმა ბრაკონიერებმა ეგერებს „ცეცხლი გაუხსნეს“ პალიასტომის ტბაზე და მათი ვინაობა დღემდე დაუდგენელია!..

ამიტომაც მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რომ ამ რეგიონის სახალხო დემუკრატთა საბჭოებმა და შინაგან საქმეთა განყოფილებებმა მეტი აქტიურობა გამოიჩინონ მათ მხილებაში და უკანონო ნადირობა-თევზაობისას კი არ დააკავონ ისინი, არამედ ფრთხილად მიუთითონ! სხვა რომ არაფერი, უხერხულიც კია ნადირობის ეშში შესულ კაცს შეუშალო ხელი!..



# აღოქსანდრე \* დიდესაშვილი

## საკლამთან შესხვედრა

„— მალხაზი ბიჭი იყავი, მოუსვენარი, ანცი!“  
 „— კიდევ ვასწავარ?! მე სომ კლასში ორ-ორჯერ დავრჩი!“  
 „— ახლა როგორ ხარ, რას შვრები?! დამშვენებულხარ კაცი!“  
 „— გამაღლობთ, ძმობილო, შევივრებენ ჩვენი ცნობრების არსი!“  
 „— სად მოღვაწეობ?“  
 „— ბაზაში!“  
 „— გამეც ხარ ალბათ!“  
 „— არა, ექსპედიტორი ვასლავარ, თანაც ვაგროვებ ტარას!“  
 „— ემ „ვოლგა“? ტყავი? ბეჭდები?! ჩანს, სელფასი გაქვს დიდი!“  
 „— ხელს ვაწერ მსოლოდ, სელფასი უკლებლივ უფროსს მისდის.. აბა, ნახვამდის, მეწვიე, იქნებ დაგვირდეს რამე!“  
 ვიფიქრე: „ასეთ წურბელებს პანლურს როდისლა კრავენ?“



საუბარი მორალზე

ხმაგასუსული უსმენდა კრება, მორალზე საუბრობდა გამეც თომა:  
 „— ამორალურია, მაგალითად, თუკი ფენი მოიკიდა უსაფუძვლო ჭორმა!.. უსაფუძვლოს ვეძახი, როცა მექრთამეობას უგონებენ მავანს და მავანს, უწერენ ანონიმკებს, უტყვენ სახელს, მირთმეულ საჩუქარს უთვლიან ქრთამად!.. თესაჯენ ვჯდს: — საიდანაო?! როგორაო?! შური აფართოებს თვალთა გუგებს, სარჯები ახ სელფასს უდრისო!.. ამორალურია, ყურს ნუ უგდებთო!“  
 ღარბაზს გადაუარა ქირქილის ტალღამ. ქირქილში, აქა-იქ, ვაისმა სიტყვა-თქმანი:  
 „— თქვენი ტიკტიკის თემა, ბატონო თომა, ავტობიოგრაფიულია ნამეტანი!“



ულოგიყო მათემატიკა

ილოს სელფასი — ორასი, მეუღლისაც — ასი, უდრის: ავეჯს ვასაოცარს, ჰაღებს ოქროს გარსით, კედლებს მოვარაყებულსა სელოვანის ფუნჯით, „ვოლგას“, გარაქმორგებულსა, სკივრებს, სახეს უნჯით, აგარაკსა, წამოჭიმულს უცხოური სტილით, მწვანის, რძემი გავლებულსა, მორთმეულსა დილით, ქელეს-ქორჩილს გასტუმრებულს სელგაშლილად, უნჯად, სიტყვას — ზოგთან დადუმებულს, ზოგთან — მჭრელს და მქუნარს, თვალ-მარგალიტს, მოელვარეს, ყველა თითზე აცმულს... ნიშანს კითხვა-ძახილისას, ბოლოს მაინც დასმულს!




მეზობლავის მასლაათი

ზაქრო თავის სარკმლიდან გატაცებით ბაასობს:  
 „— ვინც კაცია, ოჯანი განძით უნდა აავსოს!.. აბა, ერთი მითხარით, ხმლის მქნვეული ვინ არის, ვინ შევბმის სელდასელ, — შეკრას ვეფხვი მძინვარი?!  
 ახლა ვაყავიძობის საზომი სულ სხვა არის: გამორწმებენ? — სამშვიდვ, არ დაგვეც თავზარი!

# სატირულ -რონიყოი დიდიქე

მეგიტევენ — ღიმილი შეაგებე ფარსავით! თუ გაჭირდა — გაეცი, გაუყავი ძმასავით!“

უთხრეს:  
 „— ზაქრო, რაც ბრძანეთ, სიბრძნე ვასლავთ სტომაქის, ვთქვათ და... შეგსვდა ალალი, მთლად სიმართლის ქომაგი?“  
 „— საცინედ თუ გამწირა, შეურცხვენ მას უღვაში! ჩავედები და... ვიქნები ბედის წყველა-კრულვაში!“



ცოლის რჩევა

„გოგოთურ და აფშინას ვარიაციით

ცოლი აუტყდა სარდიონს:  
 „— სინდისს შენც გაუშკლავდიო, სჯობს გერქვას შარსვეტია, ოლონდ ფულეები სვეტია!

ამბობენ, მოვეიმრავლდაო ფარაშვეჭულთა გვარისა, ძარცვავენ თურმე ქვეყანას, სახლები უდგათ რვალისა!

მიდი, შენც ვინმე გაძარცვე, ნუ გიჭირს ქრთამის გარისკვა!.. ჩვენც გვინდა, კაცო, ცნობრება, ფართოდ გაღება კარისა,

სპეკულანტისა მოჩვევა, დალაშქვრა მთის და ბარისა, ბაზარში შესვლა თამამად, მობოჭვა სანოვაგისა,

„შიგულით“ გამოქროლდება, ავეჯის ცვლაც რომ გვადირსა?! აგერ, შვილები გვეზრდება, ვალი გვექვს მომავალისა, ამით სომ მოწყობა უნდათ, მერე დაგდება კვალისა?!

რა სარჩოდ გამოგადგება პტიოსნების სახელი?! გაბაღე, ჩემო სარდიონ, სხვა გზა მონახე, სხვა სვრელი!“

ცოლის დამოძვრით სარდიონს წელი უბოძეს ათიო!..

ილუსტრაციები შ. ლოლუასი









## 13 მოხრალი მძღოლი — საჭმისთან


მოხრალი მძღოლი იარაღით ხელში შემართულ მკვლელს წააგავს. გონებაწართმეულს, სასხლეტზე თითის გამოკერის მაგიერ, გაზის პედალზე მიუჭერია ფეხი და სიკვდილს უდანაშაულო ადამიანისაკენ მიაქროლებს!.. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა დღეს მთელი სიმკაცრითა და შეუპოვრობით მიმდინარეობს, მაგრამ კანონის სუსტება და ძალამ ზოგიერთების შეგნებამდე ვერ შეაღწია. ბახუსის ტყვეობაში მყოფ უგულო მძღოლებს გულისჯიბეში ავტომანქანის მართვის უფლება უღვეთ!..

ქვემოთ ჩამოთვლილ მძღოლებს გული შეიძლება იგივე დარჩათ, მაგრამ გულისჯიბეში მოწმობა აღარ აქვთ, მან ავტონისპექციის სეიფში გადაინაცვლა!..

1. გივი ალექსის ძე ბარბაქაძე — ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანის სატყეო მეურნეობის დისპეტჩერი.
  2. ლუდვიგ გიორგის ძე მამუკელაშვილი — თელავის წინდების ფაბრიკის დირექტორი.
  3. მერუჟან არშაქულის ძე კოსტანიანი — ასპინძის რაიონის სოფელ დამალის საშუალო სკოლის მებუფეტე.
  4. სოფრომ ილიას ძე ბუზარიაშვილი — საგარეჯოს რაიონის მომხმარებელთა საზოგადოების რაიკოოპერატივის ლიმონათის სამქროს უფროსი.
  5. გია ივანეს ძე ხატისაშვილი — მცხეთის რაიკოოპკავშირის კოოპუნივერმალის გამგე-გამყიდველი.
  6. მურმან გრიგოლის ძე თარბა — ოჩამჩირის რაიონის მეფრინველეობის ფაბრიკის სამქროს ბრიგადირი.
  7. კონსტანტინე გიორგის ძე ყოლბაია — ოჩამჩირის რაიონის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორის მოადგილე.
  8. გოდერძი სევასტის ძე ძმორაშვილი — ქარელის რაიონის ავტოსარემონტო ქარხნის უსაფრთხოების ინჟინერი.
  9. მამია შალვას ძე ვაშაკიძე — სამტრედიის რაიონის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ბუღალტერი.
  10. ზიგფრიდ რაუდენის ძე ბარამია — ქ. ტყვარჩელის №2 საღამოს დაუსწრებელ-დასწრებული საშუალო სკოლის დირექტორი.
  11. ავთანდილ ბანძიკოს ძე ზარნაძე — ასპინძის რაიონის ადგილმრეწველობის ვარძიის ჩამომსხმელი სამქროს უფროსი.
  12. ავთანდილ ეთოს ძე ოთანაძე — ასპინძის რაიონის ადგილმრეწველობის ვარძიის ჩამომსხმელი სამქროს ოსტატი.
  13. თემურ მიხეილის ძე თემურია — ოჩამჩირის რაიონის №2 ტრესტის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი.
- დანარჩენებს კი, ვინც ამ სიაში ვერ არ მოხვდა, ვაფრთხილებთ, რომ რიცხვი 13 ეშმაკისეულია! ნუ გაიფლით ეშმაკის მერიდიანზე, თორემ ხიფათი, დღეს თუ არა, ხვალ შინც არ ავცდებით!

ქანი სინარულიძე

## ქალიშვილი ახსაკოვს!



ჩანახატი

ქალიშვილი გატანჯული სახე ჰქონდა, თორემ უცნობს, თანაც მამაკაცს, მანქანას რავე გაუჩერებდი? ფული არა მაქვს და ზესტაფონამდე უნდა გამოვეყუთო, მომიბოდიშა. სანამ დასტური არ ვუთხარი, არ დამჯდარა. მერე ნება ითხოვა, სალონში მოწვევა თუ შეიძლებაო. ინებეთ-მეთქი, ვუთხარი და სახეზე დავაკვირდი რატომღაც. ნაცემი ჩანდა. როდესაც ასნის ჩაქვია, მარჯვენა ხელზე გადალევტილი კანი გამოუჩნდა. რა დავმართიათ-მეთქი, ვეღარ გავუძელი ცნობისმოყვარეობას. არაფერიო, მითხრა შევიდავ, წავიფორჩილე და ვიტყინეო. ალბათ სიმთვრალეში-მეთქი. რასაკვირველია, სიმთვრალეში, გატრეტილი ვიყავიო. კიდევ კაი, მილიციამ რომ ვერ დაგლანდა, თორემ ტყავს გაგამძრობდნენ-მეთქი.

- რა ტყავი უნდა გაეძროთ? — მკითხა გაოცებულმა. ცოტა არ იყოს, დავიბენი.
- რა ვიცი, ამბობენ, დიდ მაყუთს ახდევინებენო მთვრალეებს.
- კი არ ახდევინებენ, აჯარიმებენ, პატივცემულო!
- დავაშურსუკე.
- ჯარიმის გარდა, ვითომ არ ითხოვენ არაფერს?
- ვინც ითხოვს, ამ ბოლო ხანს მისგანაც მაგრად ითხოვენ პასუხს! — ისე მოჭრილად მომიგო, რომ მანქანა დავძარი.
- თქვენ, ბოდიში და, სად მუშაობთ? — მთავარი ახლა ეს იყო. შემებარმა შემომხედა. მომეჩვენა, რომ ვინაობას მალავდა, — მართალი მითხარიო, რა პროფესიის კაცი ბრძანდებით?
- მცირე ყოყმანის შემდეგ საქაღალდე გახსნა, იქიდან ფოტოსურათი ამოაძვინა და გამომიწოდა. მილიციის ფორმაში გამოწყობილ „ჩემს უცნობს“ უფროსი ლეიტენანტის სამსრუები ეკეთა. ახლა მე მეცა ელდა და პირდაღებულმა კანგადაღლებილ ხელსა და დალილავებულ პირსახეზე ვანიშნე.
- ნაშუალამევის სამი საათიდან დილის შეიღის ნახევრამდე ვეჭიდავებოდით სალორის ტყეში ოთხი კაცი სუთ ბანდიტს და იმის შედეგია ეს!..
- დააკავეთ სუთივე?
- კი დავაკავეთ, მაგრამ ერთი ისეთი კაი ბიჭი დავეჭვრეს, დასოცილები ვართ ხალსი!
- მერედა, რატომ მანქანით არ წაბრძანდით შინ? — სხვა ვეღარაფერი მოვისაზრე.
- სამსახურებრივი მანქანა არ მეკუთვნის და საკუთარს კიდევ, ჩემი ხელფასით კაი ხანს ვერ ვიყიდო!
- დიდი, ძალიან დიდი მადლობა გადამიხანდა და მშვიდობის გზა მისურვა. წინა დღით ქუთაისის „ტორპედო“ წავიკო თამაში ორთი ნოლზე და ცუდ სასიათზე ვიყავი, მაგრამ შეიღებს გეფიცებით, უფროსი ლეიტენანტის გაცნობამ ისე დამიამა და შემეცვალა გუნება, ვერ წარმოიდგენთ.

ტიტა ქავთარაძე  
ქ. ქუთაისი

ნ. ბ. ზუბაშვილისა



ჭავჭავ





— მაგი, სკოლაში ცნობას მთხოვენი შენი შემოსავლის შესახებ!  
— გაგიჟდი, შვილო? ჩემი შემოსავლის ცნობა რომ გაგაბანო,  
სომ დავიღუპე!

**ადამიანმა წერა-კითხვა ისწავლა**  
თუ არა, იმ დღიდანვე შეუდგა მტკიცებას, რომ გაადამიანების პროცესი მილიონი წლების წინ დაიწყო და დამთავრდა კიდევ მე ჩემი შეხედულება მაქვს ამ საკითხზე და დაბეჯითებით შემოიძლია ვთქვა, რომ ზოგიერთების სრულ გაადამიანებამდე (განურჩევლად მათი რანგისა) ჯერ კიდევ წლებია საჭირო. ყოველ შემთხვევაში, გაადამიანება ვერ ჩაითვლება დამთავრებულად მანამ, სანამ არ მოისპობა „კომპლიმენტები“: „კაცი კი არა, მაიმუნია!“, „ნამდვილი ღორია!“, „ძალი კაცია!“, „გველაჭუა!“, „ბატისტინაა!“, „კაცი კი არა, ვირია!“, „უშუაპის ფეხია!“, „მელაა!“, „მხეცია!“, „პარაზიტია!“ და ა. შ..

# გადამიანებს პროცესი სრულდება!



## იუპორება

ქვას წამოავლო ხელი. რად უნდოდა ქვა?! რა თქმა უნდა, ბოროტი განზრახვით, თორემ სად იყო მაშინ კაკალი? გაჩნდა კაკალი და გაჩნდა ჩაქუჩიც. მაშასადამე კაკლის გასატეხად არავის უხმარია ქვა. მიუხედავად ამისა, ადამიანი ყოველთვის ცდილობდა ქვაც ჰქონოდა და კაკალიც. ამას შრომა სჭირდებოდა, შრომას — იარაღი. მოტეხა ჩვენმა წინაპარმა სმელი ტოტი (ნელდი დაენანა, თორემ სად იყო მაშინ ბუნების დაცვის კომიტეტი ან ტყისმცველი?). მიაშარა ზედ ბასრი ქვის ნატეხი და იარაღის გამოსაცდელად ერთი დიდი ხე წააქცია. გააკეთა შუბი, მშვილდ-ისარი, ჩამოიკიდა გვერდზე ქვის ცული და დაიწყო ადამიანობა, ესე იგი ნადირ-ფრინველის მუსრის გავლება. ამასობაში ცეცხლის გამოყენებაც ისწავლა. ისწავლა და მიჰყო ხელი ტყის განადგურებას. ერთ ადგილზე რომ მოსპო ტყე და ტყის ნობათი, მეორეზე გადაინაცვლა, იქაც რომ მოსპო, კიდევ სხვაგან და ა. შ.  
ასე არ ივარგებსო, იფიქრა ჩვენმა წინაპარმა. იფიქრა და კიდევ წამოსცდა პირველი სიტყვა — „შრომა“. რა ლამაზად ჟღერს,

არა?! ჟღერს კი არა, გრგვინავს, მაგრამ ყველამ იცის, რას გულისხმობდა ან გულისხმობს ზოგიერთი „შრომა“-ში? შეიძინე, რამდენიც მოგნახს მამსიმაღურად პეკაყოფილებს! არც მეტი და არც ნაკლები — თჯახს!  
ასლა ვნახოთ, რას უწოდებს იგი „ოჯახს“. რას და — ოქრო-ვერცხლით, ჯამ-ჭურჭლით პესებულ სუთოთახიან საცნოვრებულს! ვასავებია?!

ისწავლეს რა ჩვენმა წინაპრებმა შრომის ყადრი, მომრავლდა ლოზუნგები: „შრომა აკეთილშობილებს ადამიანს!“, „ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს!“, „არც ერთი მუქთანსორა — ჩვენს შორის!“, „უსაქმურთა ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს!“ და სხვა მრავალი მისთანანი.

მიუხედავად შრომის ასეთი პოპულარიზაციისა, ადამიანი ყოველთვის ცდილობდა მინიმალური შრომით შეეძინა მაქსიმალური დოვლათი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგიერთებმა უშრომლადაც მიაღწიეს ამას! იმდენი მოგვეთ ლხენა, რამდენიც თითოს თითზე არ აკარებს და ფეხი ფეხზე გადადებული ცნოვრობს. აი, სწორედ ისინი გრძნობენ თავს გაადამიანებულებად. მათი გავებით ის, ვინც ბევრს შრომობს (ანუ არაადამიანურად ბევრს მუშაობს), გაადამიანების პროცესშია და დაგროვებს რა დოვლათის მაქსიმალურ რაოდენობას (დამარჩავს მიწაში, ჭურში და ა. შ.), გახდება ნამდვილი ადამიანი, ანუ „კაცური კაცი“!

აბა, დაუფიქრდით, თუ თანამედროვე პერიოდში ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთი ყოფა-ქცევით, საზოგადოებისადმი დამოკიდებულებით იდენტურნი არიან ცხოველებისა (მათ შორის — ქვეწარმავლებისა და პარაზიტებისა), ამასთან ერთად, უნარი შესწევთ კბენისა, ღრენისა, ვესლეისა, სისხლის წოვისა, ერთმანეთის ჭამისა და ძვლების სვრისა, შეიძლება ვთქვათ, რომ ყველა, ვისაც შარვალი ან კაბა აცვია, ადამიანია?! თუ ეს ასეა, მაშ, რას ნიშნავს გამოთქმები — „ნამდვილი ადამიანი“, ან „კაცური კაცი“? თუ არსებობს ნამდვილი ადამიანი, ესე იგი არსებობს არანამდვილიც. არიან „კაცური კაცები“, მაშასადამე, არსებობენ „არაკაცები“.


ასლა ვნახოთ, რით დაიწყო გაადამიანება და რას წარმოადგენს ზოგიერთი თანამედროვე, ასე ვთქვათ, ადამიანი:  
ჩამოვიდა თუ არა ჩვენი წინაპარი ხიდან,

მაშ ასე, მეგობრებო! გაადამიანების პროცესი გრძელდება!..

ანთროპოლოგი ნიკოლოზ იოსებოვი



№ 405  
23.VI 1986



უსიტყვოდ

ვლავანტურად გაწყობილი ექვსი ოთახი!  
 ვაჟა ოთახში – სხვადასხვა ქვეყნის  
 მარკის აუჯი!

ხერვანტებიდან თავმოწონედ იმზირებიან  
 უძვირფასესი ლანგარები,  
 ბროლის ჭიქები,  
 უცხო თევზები,  
 გაშლილ სუფრაზე რომ არასდროს  
 სტუმრის ხელი არ შეხებიათ!

დატყვევებულან კარადებში ლამაზყდიანი ტომეულები!  
 არცთუ ისინი წუნდებიან ხელის შესებით!

კედლებზე, ოქროს ჩარჩოებიდან,  
 შემოგვეყურებენ ტიციანი, ტინტორეტო, ჯოტო, რუბენსი!  
 (მათი პატრონი თავს იწონებს, უპირველესად, იმ ჩარჩოებით!).

სარკებიან სადარბაზოში ნებიერობს  
 დედისერთა თექვსმეტი წლის სუსტი გოგონა  
 ინგლისურ დოგთან და მალაურ ზებრა კატასთან!  
 დედა და მამა შეიღს თვალეში შესცივინებენ!

ვლავანტურად გაწყობილი ოთახები – სათავსოებით:  
 იაპონური აბაზანა, ოცდაათი მეტრი ფართობით,  
 (რა თქმა უნდა, იმავე ზომის აბაზანაც „წვეულებრივი“).  
 დიდი ოჯახის შემადგენლობა:  
 დედა, მამა,  
 ერთადერთი ქალიშვილი,  
 ინგლისური დოგი და...  
 მალაური კატა!

ავთანდილ სვანი

# შენი ცეცხლი

– გავთავდი კაცი!.. აღარ შემოძლია მეტი!.. ჩემს ტილე-  
 ფონში ხან აბანოს კითხულობენ, ხან ნოტარიუსს!..  
 – შენ კიდევ კარგად გქონია საქმე! ჩემთან ფსიქიატრიულს  
 ეძებენ!.. ახლა სახლმმართველობასთან ვარ ჩართული!..  
 – რაო მერე?  
 – შეკითხებიან, როდის დაიწყება რემონტიო?  
 – შენ რა პასუხს აძლევ?  
 – ვაძლევ იმედს, ამ თვეში აუცილებლად-მეთქი.  
 – ატყუებ?  
 – არა, ვიცი, მაინც ასე უპასუხებენ!  
 – კიდევ რომ დაგირიკონ?  
 – ისევ ამ თვეში-მეთქი, ვიტყვი. თვეებს რა გამოლევს?!  
 – აა, ეს შენ ხარ, არამზადავ?!. ოხ, შენი!..  
 (ერთი გარბის, მეორე მისდევს).

ლ. სულაჰა



კონსერვოვატორი




# ნოდარ ლუბჯანიძე

## ნობელოს წიგნები!

ვინ? ნოდარი? სწორი უთქვამთ,  
მართლა დიდებულად ცურავს!  
სტილი? სტილით, რა თქმა უნდა,  
ვაუკაცურად! მამაცურად!  
აიფარებს მაისურს და,  
ასკინკილა, ტრუსებს წურავს!..  
რაც მართალი მართალია,  
მართლა დიდებულად ცურავს!  
სულ დე გოლის „კეპკა“ წურავს!  
მზეს ზანგივით გაუმურავს!  
ხან რომ ზვიგენივით ყვინთავს,  
ხანაც დელფინივით ცურავს!  
აიფარებს მაისურს და,  
ასკინკილა, ტრუსებს წურავს!..

კაცი იყო — იცურავა!  
გემია და — ახლაც ცურავს!

ტია-ტია  
ნახ. ზ. ჟორჯნიძისა



მიხეილ კუსალაშვილი

სანოქლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციის უფროსი რედაქტორი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი მიხეილ ლუკას ძე კუსალაშვილი.

მ. კუსალაშვილი დაიბადა ქ. სონში, გლეხის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ამიერკავკასიის რკინიგზის ინსტიტუტში.

1938 წლიდან მუშაობდა ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციაში ტექნიკურ რედაქტორად, 1977 წლიდან კი — უფროს რედაქტორად. თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე სტამბდვანელობდა იგი „ნიანგის“ ტექნიკური და პოლიგრაფიული რედაქტირების რთულსა და საპატიო საქმეს. უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ყოველი ნომრის გამოშვებას, რუდუნებასა და ზრუნვას არ აკლებდა, რათა ჟურნალის ტექნოლოგიური ციკლი უნაკლოდ გასრულებულიყო.

მაღალი გემოვნებით არჩევდა ყოველ ნაწს, ყოველ შტრიხს, სტამბური საღებავების გარდამავალ ელფერს ცალკეული გვერდისა თუ ილუსტრაციისათვის და ასე შემოქმედებითად, საქმის სიყვარულით ქმნიდა ჟურნალის პოლიგრაფიულ იერსახეს.

პროფესიონალის სელი ეტყობოდა „ნიანგის“ ბიბლიოთეკის სერიით გამოცემულ სატირულ-იუმორისტულ კრებულებსა და ჟურნალ „ნიანგისა“ და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტორისპექციის სატირულ-იუმორისტულ ბუკლეტს „ნიანგი გზაჯვარედინებზე“, რომელთა ტექნიკური რედაქტირებაც მას ჰქონდა მინდობილი.

ეროდირებული, ენერგიული და მკაცრი მომთხოვნი საკუთარი თავისა და კოლეგების მიმართ, იგი გამოირჩეოდა დაკისრებული საქმისადმი ერთგულებით, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებითა და ოპერატიულობით.

შესანიშნავად იყო და ჩვენი ისტორია, კაზმული სიტყვიერება, შექმლო საათობით ესაუბრა ქართული ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებზე, თანამედროვეობის აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებზე და ყოველთვის გააჩნდა საღი აზრი მათი შეფასებისას.

„იყო ადამიანი, ნიშნავს გრძნობდეს პასუხისმგებლობას!“ — მას ძალიან მოსწონდა ეკზიპერის ეს სიტყვები და თავისი ცხოვრების მრწამსად მიიჩნდა. და მართლაც მიხეილ კუსალაშვილი „გულითა მართლითა, პირითა ნათლითა, შურცხვენლად“ ემსახურა ქართული პოლიტიკური სატირისა და იუმორის განვითარების საქმეს.

ღვაწლმოსილი ნიანგელის შრომა ღირსეულად დაფასა პარტიამ და მთავრობამ. მ. კუსალაშვილი დაჯილდოებული იყო მედლებით — „დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“, „კავკასიის დავისათვის“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

მ. კუსალაშვილს ახლო მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა გამოჩენილ ქართველ მწერლებთან, ჟურნალისტებთან, მსატვრებთან, საზოგადო მოღვაწეებთან.

წავიდა ჩვენთან თავისი საქმის უსაზღვროდ მოყვარული კაცი, ჰუმორიტი მამულიშვილი, შესანიშნავი მეგობარი და წინებული მეოჯახე.

მიხეილ კუსალაშვილის — ღვაწლმოსილი ნიანგელის — ნათელი სსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ჟურნალ „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგია, რედაქციის კოლექტივი



7-86

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას მიმდინარე წელს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მშვიდობის წლად გამოაცხადა, დაგეგმილი აქვს ნუკლეარული ატომური მოწყობილობათა 16 გამოცდა მოახდინოს.

გაზეთებიდან



ნახ. ზ. ლომიძის

ამერიკის წვლილი მშვიდობის წლის ფონდში.



სატირიკო და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 11 (1717). ივნიანი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზურა ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭაბუა ამირჯიბი, ნოზალი ბარათია, ბორის გურგულია, რევაზ თვარამე, ჭემალ ლოლუა, ნოდარ შალაშონია (მხატვარ-რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სხარულაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფიშვილი, ნათი ჯუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი ირაკლი დუნღუა

გალეცა ასაწყობად 13.05. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.06. 86 წ. ქალაქის ზომა 60X90<sup>1</sup>/<sub>4</sub> ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5, საადრიცხო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კვ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14. შეკვ. № 1175. უკ 04681. ტირაჟი 143.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან — მეგანქანის — 99-76-69.

სატირიკო - юмористический журнал «НИАН-ГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ. იტლები 76137



КОНТРОЛЬНЫЕ  
ИЗДАТЕЛЬСКИЕ